მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა


| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| ტფილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| ტფილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | — | — | 60 |
| სამზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | 50 | — | 1 |


შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) რევოლიუცია თუ პეტიცია? 2) ფელეტონი: მოკლე ისტორია ანარხიზმისა. 3) ახალი ამბები. 4) რუსეთის ქრონიკა. 5) უცხოეთი. 6) სოც.-დემოკრატები თვითმპყრობელობის როლში. 7) კორესპონდენცია. 8) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 8 ოთხშაბათი 14 ივნისი 1906 წ. თბილისი № 8

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყველა ამხანაგებს, თანა-მოაზრეებს და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეიური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპექტაკლების დადგმით, ხელის მოწერის გამართვით, და რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები.

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულები ყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი**

**ჩ**ვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

## რევოლიუცია თუ პეტიცია?

რუსეთში დიდი ცვლილებები ხდება. მას შემდეგ, რაც საერო კრების წარმომადგენლებმა თავის ადრესში მის უდიდებულესობისადმი, გამოსთქვეს სურვილი რუსეთში კონსტიტუციონალურ წყობილების შემოღებისა, განვლო მხოლოდ ერთმა წელმა. მთელ რუსეთის ქალაქ-სოფლებიდან იგზავნებოდა ადრესები და პეტიციები რუსეთისათვის კონსტიტუციის ბოძებისათვის. ჩვენ ვიცით, თუ რა წარმატებაც მოაქვს ამ პეტიციებს და ადრესებს მიმართულს მაღალ სფერის ხალხისადმი... ვიცით ისიც, თუ რა შედეგი მოჰყვა მშვიდობიან მცხოვრებთა ტრფიალს... ყოველივე ამის შემდეგ მე ვეკითხები მკითხველს, რა უშველის რუსეთს, ადრეს-პეტიციები თუ სასტიკი, დამანგრეველი ძალისა რევოლიუცია?

ყველა რუსეთში მცხოვრებისათვის აშკარა და ცხადია ნაყოფიერება უკანასკნელი სახსრისა.

ამით მკითხველო, მე იმას ხომ არ ვამბობ, რომ ჩვენ მკვლელობის მომხრენი ვიყვნეთ. სრულებითაც არა... პირიქით ჩვენ დიდი წინააღმდეგნი ვართ მკვლელობისა. დიახ, მართლაც რომ ჩვენ, ანარქისტები, წინააღმდეგნი ვართ მკვლელობისა.

და აი სწორეთ ამის გამოისობითაც, დავდივართ მუდამ ყუმბარით ხელში და გულმხურვალედ მივისწრაფვით რევოლიუციისაკენ. დიახ, მკითხველო, სწორედ იმისთვის, გვიჭირავს ხელში ყუმბარა, რომ მოვსპოთ მკვლელობა, მოვსპოთ უსამართლობა, ძალმომრეობა, სიღარიბე, სიმდიდრე, ომები, კანონები, სახელმწიფოები და ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს ადამიანურ უფლების, ღირსების შეზღუდვას.

დასამტკიცებლად ამისა, რომ პეტიციების ხანაში უფრო ხშირი იყო მკვლელობა, ვიდრე რომელიმე დიდ მსხვერპლიან რევოლიუციაში, მოვიყვან შემდეგ სტატისტიკურ ცნობას. ვიდრე რუსეთში პირველად რევოლიუციის ალი დატრიალდებოდა, მასში მუდამ წლობით ათას მცხოვრებიდან იხოცებოდა 34 კაცი, როდესაც რომა იმავე დროს საფრანგეთში, რევოლიუციის დროს, კვდებოდა—22. მაშასადამე ჩვენში 12 კაცით მეტი კვდებოდა თითო ათასში. რუსეთში ითვლება 130 მილიონი მცხოვრები, მაშასადამე მუდამ წელს ნორმის გადაკეთებით კვდება 1,560 ათასი კაცი.

დიახ, მილიონ ხუთას სამოცი ათასი კაცი, მშვიდობიან რუსეთში, პეტიციების ხანაში, მუდამ წლობით... ეს იყო სიმშილობამდე. 1891-1892 წ.წ., გარდა ამ ჩვეულებრივ ნორმისა, მოკვდა კიდევ არა ნაკლებ 500 ათას კაცისა. ამ მსხვერპლის რაოდენობა დღემდის ძალიან იზრდებოდა, მაგრამ ეხლა კი რევოლიუციის ძლიერებამ შიშის ზარი დასცა მჩაგვრელებს და იმიტომაც იგი თანდათან სუსტდება.

მილიონ ხუთას სამოცი ათასი კაცი მუდამ წლობით ეს პეტიციების ხანაში... ჩვენ არ შეგვიძლიან არ დავარქვათ ამას მკვლელობა. ჩვენ ვიცნობთ მკვლელსაც. ეს—ის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც ხოცავს ხალხს სიღარიბეში და სიბინძურეში. შეიცვალოს ეს წყობილება დაინგრეს, შთაინთქეს ყოველივე სახელმწიფო, მოისპოს სიღარიბე, სიმდიდრე და ყოველივე კანონი—აი ამოცანა რევოლიუციისა და დანიშნულება ჩვენგან დასახელებულ ყუმბარისა. რევოლიუცია თავის თავად რა თქმა უნდა არ გაამდიდრებს ხალხს, მაგრამ ის გაუხსნის გზას და მისცემს მას შეძლებას გააუმჯობესოს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მხარეები.

თვით უდიდესი მსხვერპლით რევოლიუცია, არ მოინდომებს იმდენს მსხვერპლს, რამდენიც იხოცება „მშვიდობიან“ მეფობის დროს წლობით და თვეობითაც კი. „მშვიდობიან“ მცხოვრებთ საზარლად მიაჩნდათ ყუმბარები, რევორვერები, შეარაღებული აჯანყება... მაგრამ ანარქისტებს უფრო საზარლად მიაჩნდათ უსაქმობა და სიმშილი, რომელსაც თან მოსდევს ჩვეულებრივი სენი: სურავანდის სენი (ЦЫНГА), ქუნთრუშა და სხვა ამგვარი, რისაგანაც იხოცება ხალხი, რისაგანაც იხოცებიან პატარა ძუძუმწოვარა ბავშვები... „დეე დაიხოცნენ,—ამბობენ მშვიდობიანნი მცხოვრებნი, ოღონდ-კი ყუმბარას და დაგუბებულ სისხლის მორევებს ნუ ვნახავთ“. „დეე იცოცხლონ“,—ამბობენ ანარქისტები, და სწორედ იმათ ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, მათ არც-კი ენანებათ თავიანთი საკუთარი სიცოცხლე...

„პეტიციებით უფრო მეტს მივიღებთ“—ამბობენ მშვიდობიანნი მცხოვრებნი, მაგრამ შენ-კი არ იცი მკითხველო, რომ ამ რამდენიმე თვეში რევოლიუციამ უფრო ბევრი მისცა რუსეთის ხალხს, ვიდრე სამმა „მშვიდობიანმა“ მეფობამ. ორმოც წელში გლეხებმა გადიხადეს 3,500 მილ. მანეთი გამოსასყიდი ხარკი—ეხლა-კი რევოლიუციის ძლიერებამ მოსპო იგი. ბევრ მშვიდობიან მეფობას მუშები მუშაობდნენ 16—18 და ბევრჯერ 20 საათსაც დღეში, მაგრამ 1896 წლის გაფიცვამ და ყუმბარების ჰექა-ქუხილმა აიძულა მექარხნეები, შეემოკლებინათ სამუშაო დღე 11—10 ს. და ეხლაც მარტო რევოლიუციის ძლიერება შემოიღებს ყოველივე იმას, რაც სოციალისტებს დაუსახავთ მიზნად. ოცის, ოცდა ხუთის წლით დატუსაღებულნი სხდნენ შლისენბურგში,—მაგრამ ეხლა მხოლოდ რევოლიუციამ შესძლო მათი განთავისუფლება...

„პეტიციებით უფრო მეტს მივიღებთ.“ ეჰ!.. მართლაც, რა სასიამოვნო იქნებოდა, რომ რუსეთის ხალხს მშვიდობიანის ცხოვრებით მიეღო ყოველივე ის, რაც ადამიანს თან უნდა ზდევნიდეს!.. ჩვენ არ გვინდა მკვლელობა,—და არც რევოლიუცია შეიცავს მკვლელობას. ჩვენ არ გვინდა მკვლელობა, ჩვენ გვინდა რომ უბრალო მსხვერპლი რუსეთში და მთელ დედამიწის ზურგზე შემცირდეს, მოისპოს. და სწორედ აი ამის გამოისობითაც, ყუმბარებით ხელში, ესე გულმხურვალედ, გალომებულნი მივისწრაფვით რევოლიუციისაკენ და გავიძახით: „გაუმარჯოს რევოლიუციას“ გაუმარჯოს ყუმბარას!... ძირს პეტიცია!...

პ. მარტყოფელი.

## ახალი ამბავი

— 12 ივნისს მორიგი კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს.

განხილულ იქმნა რამოდენიმე საკითხი. უფრო საყურადღებო იყო თბილისის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეების თხოვნის განხილვა. მოსწავლეები თხოვდენ საბჭოს რომ მან გადასდოს რამოდენიმე თანხა სასწავლებლის სასარგებლოთ, რადგან უსახსრობის გამო სასწავლებელი დაიკეტა. საბჭომ ერთხმათ გადასდო 5,000 მ., იმ პირობით, რომ სასწავლებლის საქმეები მოწესრიგდეს და სასწავლებლის გამგეობაში მონაწილეობა მიიღოს ჩვენმა რწმუნებულმაც. მეორე საკითხი გენერალ-გუბერნატორის ცნობას შეეხებოდა. გენერალ-გუბერნატორი აცნობებს საბჭოს, რომ მან დააკმაყოფილა თათრების თხოვნა და მისცა ნება საყასბოს მოწყობისა მე 6 უბანში, რადგანაც რომ ეხლა მოსალოდნელია სომხებს და თათრებს შეტაკება მოუხდეთ საერთო ქალაქის საყასბოებში სიარულის დროს. ქალაქის საბჭომ გენერალ-გუბერნატორის დადგენილება უარ ჰყო იმ მოსაზრებით, რომ ეს გარემოება უფრო გაამწვავებს თათარ-სომეხთა დამო-

კოდებულებას და სანიტარულათ ძლიერ საზარალო იქნება ქალაქისათვის შიგ ქალაქში საკლავების აშენება.

— როგორც შევიტყეთ, კონკის მომუშავენი რადგან ვერ მორიგდენ თავიანთ მართველობასთან, ადმინისტრაციას ფიქრათა აქვს მუშების მაგიერ ჯარის კაცები ჩააყენოს კონკაზე სამუშაოთ.

— კონსტიტ. დემოკ. პარტიის ბიურომ გადასწვიტა დაარსოს თავის წევრებისათვის კლუბი.

— იგივე ბიურო წინადადებას აძლევს პროვინციებში თავის წევრებს გამოსთქვან თავიანთი აზრი აგრარულ და სხვა პროგრამაში მოთავსებულს საკითხებზე.

— 11 ივნისს გამოსულ გაზეთს ,,ვსტან სპიაშჩის‘‘, არაფერი კავშირი არა აქვს იმ რედაქციასთან, რომელიც ამავე სახელით მ. ბრეხნიჩევის რედაქტორობით იცემოდა.

ამას თვით მ. ბრეხნიჩევი აუწყებს საზოგ. გაზეთს ,,თბილ. ფურცელ‘‘-ში.

— 7 ივნისს ხიდის ყურზე გეორკ აკოფოვის ტრაკტირში ერთი მუშა კითხულობდა ჩვენი გაზეთის №1, რომ იმავე აკოფოვმა გამოგლიჯა მას გაზეთი და დიდის მუქარით ლუკმა ლუკმად აქცია.

აი სადამდე აღწევს პროვოკატორების სიბინძურე.

— 12 ივნისს დილის 5 საათზე გრიბოდოევის ქუჩაზე შეიპყრეს ციხიდან გაქცეული ბასტრიჩევი.

— როგორც უკვე იციან მკითხველებმა, გაიფიცნენ კახეთის საუფლისწულო მამულების თვიური და დღიური მუშები. წარუდგინეს ეკონომიური მოთხოვნილებანი, რომელიც სამუშაო დროს შემცირებასა და სამუშაო ფასის მომატებას შეეხება. ამას გარდა მოითხოვეს ორ უფროს მევენახის დათხოვნა, რომელთაც მუშები სისხლის მწოველებს ეძახიან; მოითხოვეს კიდევ ზოგიერთ წვრილ მოხელის დათხოვნა, რომელთაც უნდობლობა დაუმსახურნიათ. (შრ.)

— ბაღდადიდან ჩამოსულებმა გვითხრეს, რომ 9 თიბათვეს იქ სასიკვდილოდ დასჭრეს ბაღდადის ბოქაულის საქმის მწარმოებელი ფოცხვერიშვილი, რომელსაც არა სასიქადულო საქმეების ჩადენას აბრალებენ. (შრ.)

— ფოთიდან ექვსი ვერსის მანძილზე, დაუხვრეტიათ მიგინეიშვილი, რის შემდეგაც ფოთში, მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს, მეეტლები და მედროგეები სახლში დაბრუნდნენ, ბულვარში რამდენიმე სამგლოვიარო დროშა აღმართეს, ამხანაგმა მუშებმა მკლავებზე შავი სამგლოვიარო ნიშნები გაიკეთეს. (შრ.)

— ქუთაისიდგან იწერებიან 9 ივნისს დილას საფირჩხიაზედ ფრანგების ძველ სასაფლაოსთან მოჰკლეს გრიგოლა კვიმსაძე. მას ბრალდებოდა ჯაშუშობა, რომელიც იყო გამოცხადებული სოციალ-დემოკრატების ჯაშუშების სიაში. მკვლელების გზა და კვალი ვერ გაიგეს.

— 7 ივნისს საღამოს ორპირის ქუჩაზედ მოჰკლეს ერასტო ფოცხვერია, ბაღდადის ბოქაულის მწერალი. ფოცხვერია ამ უკანასკნელ დროს, როგორც პირველად, კაზაკებს გაჰყვებოდა ღამ-ღამე და აკლებინებდა სახლებში ახალგაზდებს. იმასაც, რაღა თქმა უნდა, ჯაშუშობას სწამებდენ.

## რუსეთის ქრონიკა

ლიგა ანტიმილიტარისტების „სტრანა“ გადმოგვცემს, რომ 5 ივნისს შესდგა პირველი დამფუძნებელი კრება ანტიმილიტარისთა „ლიგისა“. კრებაზე დაესწრენ ბევრი წევრთაგანი ავტონომისტების კავშირისა. ორატორები ამბობდენ, რომ ყველა სარევოლიუციო პარტიები მომხრე არიან მუდმივი ჯარის გაუქმებისა და მის მაგივრად სახალხო მილიციის დაარსებისა. ერთმა პოლკოვნიკმა, სამსახურის გარეშე მყოფმა, შენიშნა, რომ აფიცრობის შორის სუყველა ისე საიმედო არ არიან, როგორც ესა ბევრსა გონიათ, შორის ბევრნი მოიპოვება მ... ამ რეფორმისა. კრებაზე დაადგ... მოიწვიონ შემდეგში აგრეთვე ზოგიერთი წევრნი სახელმწიფო ს... ბიროსი.

—

სიმფეროპოლში 28 მაისს შუ... რის სტამბაში, სადაც იბეჭდ... გაზეთი „ჟიზნ კრიმა“ შეიარა... ლი ძალით ააწყვეს და დაიბეჭ... სამხედრო კომიტეტის დადგენ... ბით მე-6 ნომერი სოც.-დემოკრა... ლი გაზეთი „სოლდათი“ ამნაირად ყოფილა. დილის ... საათზე სტამბაში შემოცვივდ... იარაღებული რაზმელები, ... ყრეს ყველა იქ მყოფნი, იარ... ემუქრებოდნენ და აიძულეს ... ასთ ამწყობნი აეწყოთ მეექვს... მერი გაზეთ „სალდათისა“. ... შესავალ-გამოსავალი კარები გ... სტებს ჰქონდათ დაჭერილი. ... ფონსაც ისინი იცავდნენ. სახ... ვეული ჰქონდათ. სტამბაში ... ნი დატყვევებულნი იყვნენ გა... აწყობამდის სოციალ-დემოკრა... საგან. დაიბეჭდა სულ 5,000 ... მუშაობა სწარმოებდა ძლიერ სწრაფით, ასე რომ ოთხი ... თისათვის ყველაფერი მზად ... როდესაც გათავდა ბეჭდვა, ... ჟინის უფროსმა მოუყარა ... ყველა დატყვევებულებს და ...

# ფელეტონი

—

### მოკლე სისტემა ანარქიზმისა.

(ე. მალატესტა).

თარგმანი.

ანარქიაა, გაიძახიან ბურჟუები, როდესაც მუშები ან გლეხები სცარცვავენ ფაბრიკანტებს და მექარხნეებს ან მემამულეებს. წესიერებაა, გაიძახიან ისევ ისინი როდესაც ფაბრიკანტები და მემამულეები სცარცვავენ და ყვლეფენ მუშებს და გლეხებს ნამდვილათ კი ანარქია, თვით სიტყვის მნიშვნელობას რომ ჩაუკვირდეთ არის ისეთი მოვლენა, რომ არა თუ არავინ არავის არ სძარცვავს, არამედ საშუალებაც და მიზეზებიც კი არ არსებობენ ძარცვა ყვლეფისათვის. საკუთრება, ოჯახი და სახელმწიფო,—აი დაუშრეტელი წყარო ძალმოარეობისა და ტანჯვავებისა, საითკენაც მიმართულია პროტესტის ქექა-ქუხილი, რომლის მომავალი ნიაღვარი წალეკას ემუქრება მჩაგვრელ ბურჟუათა ბრბოს, რომლების აზრითაც თვით სიტყვას ,,ანარქია‘‘-ს გაუკეთებია უძირო სიღრმე და შიგ გაუფანტავს თავისი გულძვირობა და საყვედურები, დასძენენ რადიკალ-ინტელიგენტებიც-კი. აკომლებული ნანგრევები, დატანჯულ ხალხთა სხეულებით ცეცხლისებურ სისხლით შეღებილი სახრჩობელეებზედ, ომდგარი თავ-განწირულება, დევნა და სიკვდილი—არ არის ანარქია, არამედ რევოლიუციაა. ანარქია ეს მობიბინე ჯეჯილია, ჩრდილით მოფენილი ბაღებია, ფართო და ვრცელი სახელოსნოებია, მოკაშკაშე მზის სხივებით შემკობილი, კვნესა-ტირილის მაგივრათ ისმის გამამხნევებელი სიმღერა თავისუფალ შრომისა. იქ არ არის არც უფროსი არც მონა, არც მჩაგვრელი არც ჩაგრული, არც ძალმომრეობა და არც მორჩილება; თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა; არა საზოგადოებრიობის შენობათა სვეტებზე და კანონმდებლობის აქტებში, არამედ ყველა ცხოვრების გზებზე, და ყველას გულში, რომელიც არის დაბინავებული,—აი ანარქია. ბევრს კი რაღაც საშინელი წარმოდგენა აქვთ ანარქისტებზე, ვითომ ისინი იყვნენ, სისხლ მოწყურებულნი მკვლელები, დინამიტიან ყუმბარით ხელში, რომელიც დამზადებულია მშვიდობიან ბურჟუათათვის. მაგრამ გადაავლეთ თვალი უდროვოდ წუთ-სოფელს გამოსალმებულ ამხანაგთა სტატისტიკურ ტაბლიცებს და დარწმუნდებით, რომ ღარიბნი კვდებიან სამჯერ მეტი, ვიდრე მდიდრები; ვინ მოსწყვიტა ასე უდროვოდ ისინი სიცოცხლეს? მდიდრებმა და სახელმწიფომ, რომლებიც არიან სიმდიდრის მცველნი—აი ნამდვილი და ჭეშმარიტი მკვლელნი ღარიბებისა, არა ათასობით და ასობით არამედ მილიონობით მოშორებული ქვეყნიერებას, სიმშილით, ძალმომრეობით და ავადმყოფობით. და აი ამათ მცველებათ აღსდგნენ ანარქისტები, რომელთა ბრძოლის უმთავრესი იარაღი არაა ხანჯალი და ყუმბარა, არამედ პროპაგანდა. ბურჟუათა და მთავრობას შეუძლიან ტკბილათ და გულ დამშვიდებით მისცენ ძილს თავი ძანამდი, სანამ ანარქიულ იდეების პროპაგანდის წინაშე ისინი იბრძვიან იდეურ პროპაგანდითვე, მხოლოდ მაშინ როდესაც ისინი დაიწყებენ ძალადობით ბრძოლას პროპანგანდას წინაშე თავისუფლებისა და თანასწორობისა, რომლებიც, ნატკენის გულით, წიგნის მაგივრად ყუმბარას იღებენ ხელში. თითქმის წინადღით, როდესაც ანარქიზმის იდეები გახდებიან საყოველთაო ხვედრათ, მთავრობას და ბურჟუას შეუძლიან შიშს არ მიეცენ თავის სიცოცხლის შესარჩენათ, რადგანაც ანარქისტებს ის კი არ უნდათ რომ სიცოცხლე წაართვან, არამედ უნდათ ჩამოართვან უფლება და საკუთრება, ხალხის ზღვაში გასადნობათ. მაგრამ იმ დიდებულ დღეს, ქვეყნიერების საშინელთა განკითხვის დროს თუ ისინი უფრო დააფასებენ უფლებას და საკუთრებას ვიდრე სიცოცხლეს და მზად იქნებიან გამოესალმონ სიცოცხლეს ვიდრე საკუთრებას და ბრძანებლობას, სურვილიც აუსრულდებათ. ენრიკო მალატესტა—ერთი უნიჭიერესი მწერალთაგანია ანარქისტებში.

საუბედუროთ გამომცემლები ... ლად და დალაგებით არ გვაძლ... ამ დროში მასალას მის ცხოვრ... აღსაწერათ; ყველა, რაც ჩვენ გვიძლია გაუზიაროთ მკითხველ... არის მცირე შენიშვნა პ. ა. კრო... ტკინისა მის ,,მეამბოხეს წერილ... ში‘‘: მალატესტამ ყოფილ მედი... ნის სტუდენტათ უარჰყო თავ... პროფესია და მდგომარეობა, რ... ლიუციის გამო; ნამდვილი იდეა... სტი, სავსე სიცოცხლით და ... თაც, მთელ თავის სიცოცხლ... (თითქმის 50 წლისაა) ის არასო... არ ჰფიქრობდა, ექნებოდა პუ... ნაჭერი თუ არა სადილათ, ან ... ღამის გასათევად. არა აქვს თავ... საფარი არც საზრდო, ის მზად... ლონდონის ქუჩებში ,,მოროჟენნ... გაჰყიდოს და მით იშოვოს ლუ... პური; ღამით კი სწერს ბრწყინ... ლე და მშვენიერ სტატიებს იტალ... ანურ გაზეთებისათვის. საფრანგეთ... ის ჩასვეს საპყრობილეში, რამოდ... ნიმე ხნის შემდეგ განთავისუფლებ... ლი და გაძევებული იქმნა საფრა... გეთიდან; იტალიაში მეორეთ მი... საჯეს კუნძულზე გადასახლება, რა... სისრულეში იქმნა მოყვანილი, ს... დგანაც მალე გამოიპარა და სხვი... სახელით გამოცხადდა იტალიაში ... მალატესტას ნახვა შეიძლება ყოვ... ლთვის იქ, სადაც გამწვავებულ... ბრძოლაა, სულ ერთია სამშობლ... შია იგი თუ გარედ. ამნაირ ცხოვ... რებას ატარებს ის აგერ 30 წელ...

ჟინიკებს ერთ ოთახში, გაჰყო ისინი ორ ნაწილად და გამოუცხადა ასოთ ამწყობთ: ,,თქვენ, ამხანაგებო ეხლა არ იცით რა მოხდა, და არც არაფერი არ დაგინახავთ. თქვენ არავინ არ უნდა იცნოთ არც ქუჩაში, და თუ გიცნოთ და ვინმესთვის შეგიტყობინებიათ მაშინ სამხედრო კომიტეტი შესაფერ პასუხს გასცემს თითოეულ თქვენგანს. ეხლა საათ ნახევარი თქვენ კიდევ იქნებით აქ დატყვევებული, და მერმე შეგეძლებათ წახვიდ-წამოხვიდეთ. ჩვენ კი ყოველ თქვენ მოქმედებას თვალყურს ვადევნებთ. ,,ეხლა გახსოვდეთ ამხანაგებო‘‘. ამ სიტყვებით შემდეგ დრუჟინიკებმა სათითაოდ მიატოვეს სტამბა და წავიდნენ, იმათ გაჰყვა მათი უფროსიც და დაიძახა; ,,მშვიდობითო‘‘.

—

მიტინგი პეტერბურგში. „გოლოსი“ იუწყება, რომ ამ უკანასკნელ სამს დღეს ვასილიევის კუნძული წარმოადგენს რაღაც არა ჩვეულებრივ, პატრულებისაგან და ყაზახებისგან აწიოკებულ მცხოვრებთათვის; კრების დროს, რომ უწინ გაფანტავდა ხოლმე ხალხს ყაზახები, დღეს ესენი აღარ არის, ხალხი მაინც სასოწარკვეტილებაში ჩავარდნილი და შიშის ზარით შეპყრობილი ნელ-ნელა იყრიდა თავს, დარწმუნებით, რომ ყაზახები ხელს არ გვახლებენო, და მართლაც შეიცვალა უწინდელი სურათი. ეხლა წყნარად ჩაუვლიან ხოლმე კრებებს, ყაზახები და სთხოვენ კიდეც ხალხს ნებას საყურებლად; როდესაც შეამჩნევენ რომ ხალხი სწუხს, მათ იქა ყოფნით, ბრუნდებიან ქალაქში ქვეითი პატრულები, რაღაც ნაირად, ეშმაკობენ და არც ეწრებიან კრებებს.

—

ლაპარაკის აკრძალვა. პოლტავაში, სახელმწიფო სათათბიროს შესახებ პოლიციამ აკრძალა ყოველგვარი ლაპარაკი გლეხებთან. რამოდენიმე კერძო პირმა მიმართა გლეხებთან ლაპარაკის ნების დასართავად პოლიციას, მაგრამ ყველას თხოვნა შეუწყნარებელი იყო.

—

სტრაჟნიკების დაფრენა. 25 მაისს სოფ. გარბატოვში ლეტიჩევის მაზრაში შემდეგი ამბავი მოხდა. სუდზსკის მამულის მოიჯარადრემ აუკრძალა გლეხებს იმ მამულში საქონლის ძოვება. ამას გლეხებმა ყურადღება არ მიაქციეს და საქონელი ისევ იქ დაუდიოდათ. მაშინ მოიჯარადრემ მიიყვანა იქ სტრაჟნიკები და საცოდავი იქ მყოფნი გლეხები ძალზედ აცემინა. ეს ამბავი რომ გაიგეს სოფლელებმა, შეიყარნენ ერთად, შეიარაღდნენ სამ-თითით, ორ-თითით, ფიწლებით და სხვა. მოისურვეს მოიჯარადრეს მამულში დაბანაკებული სტრაჟნიკების ამოხოცვა. ბ. სუდზსკიმ ეს ამბავი შეატყობინა მოიჯარადრეს, რის შემდეგ შეშინებულმა სტრაჟნიკებმა ძლივს მოასწრეს თავის გადარჩენა და გაიქცნენ.

# უცხოეთი.

**შვეიცარია.** სახალხთა-შორისო მფარველობა შრომისა. კავშირის საბჭომ დაადგინა მიჰმართოს სახელმწიფოებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ შარშანდელ კონფერენციაში, ახალ დიპლომატიურ თათბირზე ბერნში მოსაწვევად, ენკენისთვის დამლევისთვის. ამ თათბირზე განსჯიან სახალხთა-შორისო პირობის პროექტს, რომლის ძალითაც დედა-კაცებს აეკრძალებათ ღამ-ღამობით მუშაობა. რაც-კი შეეხება მეორე კითხვას, რომელიც იყო მსჯელობის საგანი უკანასკნელ კონფერენციაზე,ასანთის (სპიჩკის) ყვითელ ფოსფორის გასაკეთებლად, ის გადადებულია იმის გამოისობით, რომ რამოდენიმე სახელმწიფოების დადგენილებით იყო პირობად აღიარებული იაპონიისაგან პირობის მიღება; უკანასკნელმა (იაპონიამ) დღემდის ამის შესახებ არავითარი თანხმობა არ განაცხადა.

## სოციალ-დემოკრატები თვითმპყრობელობის როლში.

ნაძალადევში, ერთ მყუდრო ადგილას რამდენიმე კაცს თავი მოეყარა და კითხულობდნენ გაზეთ „მუშას“, ამ დროს მოვიდა ერთი სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის მსხვილი წევრი და შენიშვნა მისცა გაზეთის მკითხველს ანარქისტულ გაზეთის კითხვისათვის. რაღა ბევრი გავაგრძელო, ამაზე ჩხუბიც კი მოუვიდათ „დამნაშავეს“ და მოსამართლეს“.

რას მოასწავებს, ვითომდა სოციალისტების, სოციალ-დემოკრატების ასეთი ქცევა? მხოლოდ იმას, რომ მუშებმა არ გაიგონ თუ როგორი ბატონები არიან ისინი მუშა ხალხის და როგორ ბრმა იარაღად ხმარობენ მუშებს, თავიანთ საკუთარ ბატონობის გასამაგრებლად. მაგრამ ძალიან ცდებიან ეს ვაჟ-ბატონები თუ ფიქრობენ, რომ რეპრესიებით და ცენზორობით რამეს გახდებიან. უნდა ახსოვდეთ, რომ მუშები თავისუფლებისთვის იბრძვიან და არა ახალ ბატონობის აშენებისთვის. აგრეთვე ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ, როგორც თვითმპყრობელი მთავრობა ვერას გახდა თავის რეპრესიებით და ცენზურობით, ისე ისინიც ვერას გახდებიან ამგვარი ქცევით და მოვა დრო, მუშა ხალხი კიდევ

---

წადია, და როდესაც ჩვენ შევხვდებით საპრობილიდან განთავისუფლებულს წინ, ჩვენ ვნახავთ იმას ისე მედგრათ და გულადად როგორც გვინახავს უწინ.

საუკუნოდ მზად არის ის ხელახლად ბრძოლა დაიწყოს, ყოველთვის ის გვაკვირვებს სიყვარულით კაცობრიობისადმი; ყოველთვის მზადა აქვს გულითადი ღიმილი მეგობრებისადმი, და მიფერება ბავშვებისადმი.

აი მისი მოკლე სისტემა ანარქიზმისა რომელიც შესდგება X საუბრისაგან.

## საუბარი პირველი

I

ჰროსპერ. (ღიპიანი ბურჟუა, ცოტად გაცნობილი პოლიტიკურ ეკონომიაში და სხვა მეცნიერებაშიაც). ჰო! დიაღ... დიაღ, გაგვიგონია ჩვენ ეს,—მშიერი ხალხი, როსკიპი ქალები, მიტოვებული ბავშვები, მომაკვდავები სიმშილისაგან... შენ სულ ამაებზე ჰფიქრობ და ბოლოს კი ნაღვლიანად მოიწყენ ხოლმე... მოდი დავლიოთ უმჯობესია. რასაკვირველია ქვეყანაზე არსებობს ათასნაირი ბოროტება: სიმშილი, უმეცრება, ომი, დანაშაულება, შავი ჭირი... ოხ! ეშმაკმა კი წაიღოს! მერე რა? რა საქმე გაქვს შენ მათდამი?

მაშელ. (სტუდენტი) როგორ რა ჩემი საქმეა? ჰო! თქვენ გაქვთ კარგი თავ-შესაფარი, სახლი გემრიელი სადილი, თქვენ გყავთ ლაქიები; თქვენი ქალები სპეტაკნი და კოხტეები არიან, შვილებიც უმაღლესს სასწავლებელში იზრდებიან, თქვენ ბედნიერი ხართ და ქვეყანა თუ გინდა დაიღუპოს იმის დარდი არა გაქვს. მაგრამ თუ თქვენთვის ხელსაყრელია გრძნობა სიმართლისათვის თუ...

ჰროსპერ. კმარა, კმარა, თუ გიყვარდე ნუ დაიწყებ ქადაგებას, და გთხოვ, დაანებო თავი მაგ კილოს ჩემო კარგო. შენ გგონია რომ არ ვგრძნობ და გულ-გრილათ ვუყურებ სხვების უბედურებას, არა ჩემი გულიც იცლება სისხლისაგან (ბიჭო კონიაკი, სიგარები!) სხვის უბედურების დანახვაზე, მაგრამ დიდ სოციალურ კითხვების გარდაჭრაში მნიშვნელობა გულს კი არ აქვს. ბუნების კანონები უტყუარნი არიან; გაბერილი ფრაზებით და ქალური გრძნობიერებით, ვერ დაირღვევიან. ბრძენია და ბედნიერი ის, ვინც ემორჩილება მდგომარეობას და სარგებლობს ცხოვრებით, როგორც შეუძლია, და არ მისდევს ოცნებებს.

მიშელ. თქვენ ლაპარაკობთ ბუნების კანონებზედ?! რა იქმნება, რომ დახავრულმა ხალხმა იკისროს ამ დიდ მნიშვნელოვანი ბუნების კანონების გასწორება... არსებობს ხალხი, რომელიც ძლიერ იქვის თვალით უყურებენ ამ თქვენ ჭეშმარიტ კანონების უტყუარობას...

ჰროსპერ. მე კარგად ვიცი რა ხალხზედაც ლაპარაკობ, ვიცი ვისთანაც გაქვს კავშირი და ამხანაგობა. მხოლოთ ერთი უთხარი თუ გიყვარდე, ჩემს მაგიერ იმ არამზადა სოციალისტებს და ანარქისტებს, რომლებსაც შენ ასე ძვირად აფასებ, რომ მათ, და ყველას წინააღმდეგ, ვინც მოინდომებს პრაკტიკულად ხელმძღვანელობას თავის ბოროტ თეორიებით, ჩვენ გვყავს გამბედავი ჯარი და საუკეთესო ჟანდარმები.

მიშელ. რახან თქვენ ჯარზედ და ჟანდარმებზედ იწყებთ ლაპარაკს მე გავჩუმდები, მაგრამ მხოლოდ ეს იმას წაავავს, რომ ჩვენი დავა გადასწყდეს მუშტებით; მაგრამ თუ თქვენ არ მოგეძევება მზად სხვა საბუთი, ვერაგ ძალადობის გარდა, მარტო მაგას არ უნდა დაენდოთ, რადგანაც შესაძლებელია ხვალ სრულებით უღონო და სუსტი აღმოჩნდეთ... მაშინ?

ჰროსპერ. მაშინ დადგება დროებით უდიადესი ურიგობა, მდაბიო სურვილების გასართობათ, ხოცვა-ჟლეტა, აწიოკება, ცეცხლის ალი და სხვა... და მერმე ცხოვრება ძველებურად დაიწყობა, შეიძლება გამდიდრდეს ვინმე ღარიბი, და გაღატაკდეს ვინმე მდიდარი, მაგრამ არაფერი არ გამოიცვლება რადგანაც ქვეყნიერების შეცვლა შეუძლებელია. თუ გიყვარდე მომიყვანე ვინმე ანარქისტ-აგიტატორთაგანი შენ დაინახავ როგორ დავამარცხებ იმას. იმათ იციან ლაყბობით თავის მტვრევა თქვენისთანა ძუძუმწოვრებთან; მარგრამ დავინახავ რა დარჩებათ არგუმენტებიდგან, როდესაც მათ ჩემთან ექნებათ საქმე.

მიშელ. ძალიან კარგი. მე მოგიყვან თქვენ, ერთს რომელიმე ჩემს მეგობართაგანს, სოციალის-ანარქისტს. მე კი სიამოვნებით და სასარგებლოდ ჩემთვის, ყურს დაუგდებ თქვენს საუბარს, მხოლოთ ჯერ ჩვენ ვილაპარაკოთ, თუმცა ჩემი რწმენანი ძალიან სიმაგრეს არ წარმოადგენენ, მაგრამ ნათლად, ვხედავ რომ თანამედროვე საზოგადოება აშენებულია წინააღმდეგ ჯან-საღ აზრების და კაცობრიობის გრძნობებისა; ასეთ ჯან-საღ და აყვავებულ ადამიანისთვის, როგორც თქვენ, რასაკვირველია ცოტა აღელვება სასარგებლოც იქნება, საჭმელსაც კარგად მოინელებთ.

ჰროსპერი. თუ ასეთი გულითადი სურვილი გაქვს ლაპარაკისა ვილაპარაკოთ, მაგრამ ჩემი აზრით უკეთესი იქმნება ამ გამოურკვეველი კითხვების გამოკვლევის მაგივრათ, შენს სწავლას და მეცადინეობას შეუდგე, რომლის წინაშე ე. ი. (ამ კითხვების გამოურკვევლობით შეჩერებულნი არიან ნასწავლები და ბრძენები მთელი ქვეყნისა. იფიქრე მხოლოდ, რომ მე ოცი წლით უფროსი ვარ შენზედ..

მიშელ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ, თქვენ ოცჯერ მეტი ნასწავლი ხართ, ვიდრე მე; და თუ თქვენ ნამდვი-

უფრო მომწიფდება გონებრივად და მაშინ კარგათ გაარჩევს ვინ არის მუშათა კლასის ინტერესების დამცველი სოციალ-დემოკრატები თუ ანარქისტ-კომუნისტები?

მეგრელი მუშა.

## კორრესპონდენცია.

დ. ჭიათურა. 7 ივნისს სოც.-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლიუციონერებმა მუშების სახელით ფურცლები გამოუშვეს, რომელშიდაც გაფიცვას აცხადებდნენ. და მასთან მოთხოვნილებებს აღგენდნენ. 8 ივნისს შესწყდა მუშაობა და მუშების უმეტესობა თავიანთ სახლებშიდ წავიდ-წამოვიდნენ. მრეწველები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ, ასეთ უცბად გაფიცვას არ მოელოდნენ; შეიკრიბენ საღამოს 7-საათზედ თეატრის დარბაზში და დაიწყეს მუშების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი წყაროების გამოძებნა. პირველად შევიდა ერთი ორატორი და წაიკითხა მოთხოვნილებების პუნქტები, რომლებიც სოც. დემ.-გან იყო წამოყენებული. ზევით ვსთქვით მრეწველები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ მეთქი, ეს ასეც იყო, რომ მათ არ დახმარებოდენ ის ვაჟბატონები რომელნიც წინედ მუშის სახელით ლაპარაკობდნენ. ითხოვა სიტყვა სოც-დემ—მა, მან განმარტა ჯერ, რომ მოთხოვნილებები სამართლიანია, ზომიერი და არა ისეთი როგორც სოც-რევოლიუციონერების, მერმედ ურჩია მრეწველ-პოდრიაჩიკებს აერჩიათ კომისია ისეთ კაცებისაგან, რომელთაც შეეძლებათ „შეგნებული, დ ჭეშმარიტი მოლაპარაკება გაემართონ კაპიტალისტებთან, (ვის გაემართა შეგნებული და ჭეშმარიტი ლაპარაკი, პოდრაჩიკებს? ვისთან? კაპიტალისტებთან) პოდრადჩიკებმა ტაშის ცემით დააჯილდოვეს ორატორი. მე მუშებო, ასეთი სიტყვები სოც.-დემოკრატებისამ გამაკვირვა. სოც.-დემოკრატებმა, პირველი ფურცლის წაკითხვით მუშები დაიცვეს ვითომც, მეორე ორატორის პირით კი გამოიყვანეს ფოდრიადჩიკები უხერხულ მდგომარეობიდგან. რო იტყვიან: არც წვადი დაწვეს და არც შამფური, სწორედ ასთეა. მუშებს თითო აბაზი მოსთხოვეს დღევანდელ ფასებზედ მეტი რაც კომიტეტის შესანახად დასჭირდებათ, და სოც.-ფოდრაჩიკებს გზა გამოუნახეს. რა საჭიროა ყველა ეს? განა ეს ნათლად არ გვისურათებს, ამხანაგო მუშებო, რომ ის პარტია, რომელსაც მუშათა პარტიათ მაქვს თავი, ვაჭარი უფროა, ზომიერი დ არავის შემწუხებელი, მრეწველობის გაჭირვებიდგან გამომყვანი? (ამ ვაჭრობის დროს სოც.-რევოლიუციონერები იქვე იდგნენ. სიცილის და გაკვირვების შემდეგ თავისიანებითურთ დასტოვეს დარბაზი). არა, ჩვენი ტაკტიკა ამნაირი არ უნდა იყოს, ჩვენი საქმე არ არის ფოდრადჩიკებთან ვაჭრობა, არამედ ჩვენი საქმეა ერთად შეკავშირება, სოლიდარობა, მოვითხოვოთ ის რაც წამოყენებულია. ვაჭრობა, თხოვნა და შეიძლება თუ არა მუშების დაკმაყოფილება ეს მრეწველების საქმეა და ჩვენი. ჩვენ სავაჭრო არაფერი არ გვაქვს ფოდრიადჩიკ - ექსპლოატიორებთან. ჩვენი საქმეა ქუჩა, ხელში იარაღი და ბრძოლა, როგორც ბურჟუა-კაპიტალისტების, ისე დღევანდელ გახრწნილ ბიუროკრატიის წინაშე. კმარა რაც ვივაჭრეთ და გთხოვეთ, ნუ თუ, ამხანაგებო, არ მოგეწყინათ. შორს ჩვენგან ყოველივე თხოვნა, ყოველივე ვაჭრობა და კამათი პოდრაჩიკებთან და კაპიტალისტებთან. შორს ყოველივე ცუღლუტობა ამა თუ იმ პარტიის. გაუმარჯოს მუშების პროფესიონალურ კავშირს. ს.-დემოკრატებო! გთხოვთ ნუ ატარებთ მუშათა პარტიის სახელს, მუშათა პარტიობა ჩვენ დაგვითმე თვითონ მუშებს, იქონიე მოწყალება და აასრულე ჩვენი თხოვნა. თქვენ ნუღარ იწუხებთ თავს ჩვენს პარტიობაზედ, დალალული ბრძანდებით ნემეტანი სიტყვების რახა-რუხით, თან და თან ვტყობილობთ რაც შვილი ბრძანდებით. მაშ მუშებო! გახსოვდეთ ჩვენი საქმე არ არის კაპიტალისტების გაჭირვებიდგან გამოყვანა გზის ძებნა და მათი შემოსავლის ანგარიში. ჩვენი საქმეა ბრძოლა და ბრძოლით მოიპოვება ჩვენი უფლებები.

მუშა პ. გუჯაბიძე.

# დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები)

**პოლტავა.** სავაჭრო ადგი... კონსტანტინოგრადში გლეხებს ... ტაკება მოუვიდათ პოლიციელებ... გლეხებთაგან სამი მოკლული, რამდენიმეც დაჭრილი.

**ეკატერინოსლავი.** შეიარა... ბული ბოროტ-გამზრახველნი ... დაეცნენ მოქალაქე კოტიკს, წა... თვეს 500 მანეთი და ვექსილი, ... სჭრეს მეეტლე და გამლელი ... კინი.

**პეტერბურგი.** პურის-მცხო... ლების გაფიცვა არ გათავებულ... შლისენბურგის ნაწილის რაიო... ში მოკლულია ქარხნის მუშა ... როვი, რომელიც ეკუთვნოდა ... მარიტ რუსთა კავშირს.

**კლოცკი.** მეპურეები გაიფი... და წარადგინეს ეკონომიური ... ხოვნა.

**მინსკი.** პარიჩის და ბობრ... შორის გაცარცვეს ფოშტა. ... ბულია 700 მანათი.

**ჟიტომირი.** დაჟინებულ ხმე... გამოისობით ურიების აკლების ... სახებ, ურიები ანებებენ ქალაქს ... და მიდიან სხვა ქვეყნებისაკენ.

რედაქტორ-გამომცემელი **მიხეილ დიასამიძე**

ლად ბევრი გისწავლიათ, მაინც სწავლას თქვენთვის არავითარი ნაყოფი არ მოუტანია.

ჰროსშერი. ყმაწვილო, თქვენ თავს ივიწყებთ!

მიშელი. უკაცრავად... მხოლოდ ნუ მითითებთ წლოვანებაზედ და ჟანდარმებზედ. საბუთები არ შეიძლება იყონ არც ძველები და არც ახლები; ისინი არიან ან ნაკლულოვანნი, ან ზომიერნი, მორჩა და გათავდა.

ჰროსშერი. კარგი, კარგი გააგრძელეთ.

მიშელი. მაგრამ... მე არ მესმის და ვერ გამიგია, რატომ გლეხს, რომელიც ხნავს, მიწას, სთესს მუშაობს ვენახში, აშენებს საქონელს, საყოფათარა აქვთ არც პური, არც ღვინო, არც ხორცი, არც არავითარი უსაჭიროესი მოთხოვნილებანი; რატომ კალატოზს, რომელიც აშენებს სახლებს, ღამის გასათევი ბინა არა აქვს, რატომ მეწაღეს, რომელიც აუარებელ წაღებს ამზადებს, თვითონ კი დაფლეთილი აცვია. რატომ საერთოთ იმას ვინც ქედ-მოდრეკით შრომის უღელშია გაბმული, არ ჰყოფნის თვით უსაჭიროესი მოთხოვნილებანი, მაშინ, როდესაც მუქთა ხორები, სცურავენ განცხრომაში. ვერ გამიგია! რატომ არიან ხალხნი, რომელთაც პურის ნატეხი ენატრებათ და თვალ-უწვდენელი მინდვრები კია დაუმუშავებელი. არიან ხალხი, რომლებიც ოცნებებს მისდევენ და ფიქრობენ როგორც ბედნიერებაზე, მიწის დამუშავებაზედ რატომ არიან უსაქმოდ ამოდენა კალატოზები, როდესაც უთვალავი თავშესაფარია საჭირო; რატომ, ამოდენა მეწაღეებს და მკერვალებს და სხ. სამუშაო არა აქვთ, მაშინ როდესაც უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა საჭიროობენ ფეხსაცმლებს, სამოსელს და სხვა აუცილებელად უსაჭიროესს ნივთებს? ვერ შეგიძლია მითხრათ მე, რომ თუ რა ბუნების კანონია ის, რომელიც ხსნის და ამყარებს ასეთ წესიერებას?

ჰროსშერი. ასეთი ადვილი და უბრალო გასაგები არა არსებობს რა. საწარმოებლად არ არის საკმარისი მარტო ხელები; საჭიროა მიწა, მასალა ხელ-საწყო, შენობა მანქანები;

საჭიროა საშვალება ცხოვრებისათვის, რომ გქონდეს ხელში საწარმოვო ნივთების, დასამუშავებლათ მომზადებამდის, ე. ი. საჭიროა კაპიტალი. შენი მუშები და ხელოსნები კი რასაკვირველია, ვერ შეეფარდებიან საქმეს ცარიელ ხელებით, თუ ამას არ მოისურვებენ მიწებისა და კაპიტალის მფლობელნი.

ჩვენ კაპიტალისტები ცოტანი ვართ, მაგრამ სამაგიეროთ რამდენიმე ხნის განმავლობაში საყოფი საშვალება კი გვაქვს, და შეგვიძლია რომ მიწები დაუმუშავებლათ დავტოვოთ რამდენიმე ხანს და კაპიტალი უხმარებლად. მუშები ბევრი არიან და თითქმის ყოველთვის უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან, რის გამოც ეს უკანასკნელონი ჰკიდებენ ხელს ყველა იმ სამუშაოს, რასაც ჩვენ ჩავთალით ხოლმე საჭიროთ.

როდესაც ბაზრის პირობები საყოფ სარგებლობას არ მოგვიტანს, მაშინ ვამცირებთ წარმოებას, რისთვისაც მრავალი მუშა ხელნი უსაქმოდ რჩებიან, იმ დროს, როდესაც აუცილებლათ საჭიროებენ იმ ნივთებს, რომლის წარმოება ჩვენ შევამცირეთ. ეს ხომ ცხადზე უცხადესია? რას მეტყვი ამაზედ?

მიშელი. ცხადია, ამაზედ რაღა ლაპარაკია საჭირო; მაგრამ ერთი მითხარი, რა უფლებებით ეკუთვნიან მიწები მარტო რამდენიმე პირს? რატომ მოგროვდა კაპიტალი იმ უმცირესობის ხელში, რომლებიც არ შრომობენ?

ჰროსშერი. ჰო, მე მიგიხვდი რაც გინდა სთქვა ამის შესახებ. მეც შემიძლია მოვიყვანო შემდეგი დასკვნანი: საკუთრების უფლება, დამყარებულია მიწათა გაუმჯობესობაზე, კაპიტალის წარმოშობა, პირად ეკონომიიდან და სხვ. მაგრამ მე უფრო გულახდილად ვიტყვი: მდგომარეობა—რეზულტატია ისტორიისა, და ნაყოფია საუკუნოებრივ, კაცობრიობის განვითარებისა. მთელი, კაცობრიობის ცხოვრება, იყო, არის, ... იქნება—შეუწყვეტელი ბრძოლა. ... ბრძოლაში ზოგნი იმარჯვებენ ... ზოგნიც მარცხდებიან. რას იზამ ... რაც უკეთესია ერთისთვის, მი... უარესია მეორესთვის. ვაი დამა... ცხებულებს!

აი, დიადი კანონი ბუნებისა, რომ... ლის არ დამორჩილება—შეუძლ... ბელია.

რა გინდა მეტი ჩემგან? რომ ... უარვყო ყველაფერი რაც მამადი... და სხვებს მივანიჭო ქეიფი ჩემ ფუ... ლებით და მე ისეთი გაჭირვება ვი... მინო, რაც არ გამომიცდია?

მიშელი. წარმოიდგინეთ რომ ... არ მინდა, მაგრამ, ჩაუკვირდით მუშებმა რომ გაიმსჭვალონ თქვენ... თეორიებით—ცხოვრება ბრძოლ... და უფლება იქაა—სადაც ძალაა, — დარწმუნებით, რომ ისარგებლებ... თავის უაღრესობით და აღრიცხ... ლი ალმატებით, ვის ხელში აღმო... ჩნდება მაშინ მიწა და კაპიტალი და ვინ დაიწყებს კანონთა კარნა... ხობას?

ჰროსშერი. მაშინ, ცხადია ძნელ... იქნება გარკვევა. მაგრამ... ამაზ... შემდეგ ვისაუბროთ. დღეს კი მ... თეატრში მივდივარ. მშვიდობით!

კოწია გ. ჭუბაბრია.

(შემდეგი იქნება).

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისას, ოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.